საქართველოს მთავრობის

დადგენილება №368

2019 წლის 6 აგვისტო

ქ. თბილისი

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 16800.00 კვ. მ გეგმარებითი არეალის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლისა და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 16800.00 კვ. მ გეგმარებითი არეალის (მიწის ნაკვეთები (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით: №64.30.07.334; №64.30.07.335; №64.30.07.132; №64.30.07.336; №64.30.07.314) განაშენიანების რეგულირების გეგმა თანდართული დოკუმენტაციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**